საქართველო

35259-01-2-201909121821

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/35259
12/09/2019

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილეს

ქალბატონ თეა ახვლედიანს

ქალბატონო თეა,

ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოს გენერალური საკონსულოს ინფორმაციით, ქართველ სტუდენტებში სულ უფრო დიდი მოთხოვნით და პოპულარობით სარგებლობს გერმანიის დასაქმების ფედერალური სააგენტოს მიერ განხორციელებული პროექტი „უცხოელი სტუდენტების დასაქმება არდადეგების პერიოდში“, რაც ითვალისწინებს უცხოელი სტუდენტების დასაქმებას გერმანიის სხვადასხვა საწარმოში. აღსანიშნავია, რომ პრაქტიკაში უკვე არსებული პრობლემების დროულად იდენტიფიცირებისა და მათი პრევენციის მიზნით გვსურს თქვენი ყურადღება გავამახვილოთ შემდეგ საკითხებზე.

დასაქმების პროგრამაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ 18-დან 35 წლამდე ასაკის ნებისმიერი აკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, რომლებზეც სამუშაოს ნებართვას გასცემს გერმანიის დასაქმების ფედერალური სააგენტო (www.zav.de/arbeitsmarktzulassung). სტუდენტებს შეუძლიათ მინიმუმ თვენახევრიდან მაქსიმუმ 3 თვის მანძილზე გერმანიაში მუშაობა სემესტრული არდადეგების პერიოდში. სტუდენტებს ევალებათ გერმანული ენის კარგ ან ძალიან კარგ დონეზე ცოდნა. სამუშაო ფუნქციებს ძირითად ენის ცოდნის ხარისხი განსაზღვრავს. სამუშაო ადგილები ძირითადად არის მომსახურების სფეროში (სასტუმრო და გასტრონომია), სოფლის მეურნეობა და სხვა. გერმანიის დასაქმების ფედერალური სააგენტო ურჩევს სტუდენტებს, რომ სამუშაო ხელშეკრულება მოითხოვონ წერილობითი ფორმით, რომელშიც მითითებული იქნება სამუშაო საათების რაოდენობა, ხელფასი, მუშაობის დროები და არავითარ შემთხვევაში არ მოაწერონ ხელი ხელშეკრულებას ან სხვა რაიმე დოკუმენტს წინასაწარი გაცნობისა და წაკითხვის გარეშე. აგრეთვე სასურველია რომ ჩასვლამდე ან ჩასვლისთანავე ადგილზე მიიღონ ყველა საჭირო ინფორმაცია მათ დასაქმებასთან დაკავშირებით.

აღსანიშნავია, რომ 2017 წელს ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის რეჟიმის ამოქმედების შემდეგ ქართველი სტუდენტები აქტიურად მონაწილეობენ ზემოაღნიშნულ დასაქმების პროგრამაში. 2 წლის განმავლობაში, წარმატებული თანამშრომლობის, კმაყოფილი დამსაქმებლებისა და სტუდენტების გარდა, სამწუხაროდ ვლინდებოდა ბევრი პრობლემური საკითხები. ერთის მხრივ, ამ პერიოდში ხშირი იყო ქართველი სტუდენტების მიერ ჩადენილი სხვადასხვა დანაშაულებები თუ მართლწესრიგის დარღვევის შემთხვევები

(მაღაზიებსა და სამუშაო ადგილებზე ქურდობა, სამუშაო ადგილებზე ნარკოტიკული თუ ალკოჰოლური თრობა), მეორეს მხრივ, განსაკუთრებით საყურადღებოა შემთხვევები, როდესაც ქართველი სტუდენტები მიემგზავრებიან სამუშაოდ ისე რომ არ იცნობენ ხელშეკრულების პირობებს, მათთვის უცნობია სამუშაო საათები ან ხელფასი. რიგ შემთხვევებში ჩნდება ეჭვი, რომ შუამავალი ქართული ფირმები სხვადასხვა მიზეზებით სრულად არ აცნობენ სტუდენტებს არსებულ პირობებს. გერმანიის დასაქმების ფედერალური სააგენტოს მიერ გაცემულ სამუშაო ნებართვაში აისახება სტუდენტისთვის განსაზღვრული მინიმალური ხელფასი. ხშირად არის შემთხვევები, როდესაც გერმანელ დამსაქმებელსა და ქართველ სტუდენტებს შორის არის ორი შუამავალი ფირმა, ერთი გერმანული და მეორე ქართული. სავარაუდოდ, აღნიშნული, რიგ შემთხვევებში იწვევს რომ სტუდენტამდე არ აღწევს განსაზღვრული თანხა. შესაბამისად, ხშირია უკმაყოფილო სტუდენტები, რომლებსაც რიგ შემთხვევებში უწევთ სამშობლოში ვადაზე ადრე დაბრუნება ან მათთვის მიუღებელ პირობებში სამუშაოს გაგრძელება.

მაგალითისთვის გაცნობებთ, რომ 2019 წლის 13 აგვისტოს ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოს გენერალურ საკონსულოს დახმარების თხოვნით მიმართა აღნიშნულ პროექტში მონაწილე სტუდენტთა ჯგუფმა და წარმოადგინეს დასაქმების ფედერალური სააგენტოს მიერ მათ სახელზე გაცემული სამუშაო ნებართვები. აღნიშნულ დღეს მათ გადაეცათ ივლისის თვის ხელფასი საბანკო ჩეკის სახით, სადაც თანხა შეადგენდა გაცილებით ნაკლებს ვიდრე მათ საათობრივად გამოიმუშავეს. მათივე ინფორმაციით, მათი შრომის ანაზღაურება არ მოხდა საათობრივად, არამედ დალაგებული ოთახების რაოდენობის მიხედვით. შესაბამისად, მათ ვერ მიიღეს სამუშაო ნებართვით განსაზღვრული ანაზღაურება 10,56 ევრო საათში. საყურადღებოა, რომ სტუდენტებს საერთოდ არ ჰქონდათ დამსაქმებელთან გაფორმებული ხელშეკრულება და მათი თქმით, თხოვნა, შეხვედროდნენ დამსაქმებლებს ხელშეკრულების გაფორმების მიზნით უპასუხოდ რჩებოდა.

სტუდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნულ პროექტში მონაწილეობის მისაღებად მათ დაეხმარათ ქართული შუამავალი ფირმა, რომელმაც გარკვეული გასამრჯელოს მიღების შემდეგ გადასცა სტუდენტებს მათ სახელზე გაცემული დასაქმების სამინისტროს სამუშაო ნებართვები. ქ. მაინის ფრანკფურტში საქართველოს გენერალური საკონსულო დაუკავშირდა შუამავალ ფირმას, სადაც განუცხადეს, რომ ცდილობდნენ საკითხი გაერკვიათ გერმანელ დამსაქმებლებთან. გენერალური საკონსულოს წარმომადგენელი იმავე დღესვე დაუკავშირდა ქართველი სტუდენტების მიერ მიწოდებულ საკონტაქტო პირს, რომელმაც განაცხადა, რომ ისინიც წარმოადგენენ შუამავალ ფირმას დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის. მათი განაცხადებით, წინასწარ არსებობდა პირობა, რომ სამუშაო ნებართვით განსაზღვრულ თანხას (10,56 ევრო საათში) დასაქმებული სტუდენტი სრულად ვერ მიიღებდა და ყოველივე ეს ცნობილი იყო ქართული შუამავალი ფირმისთვის, შესაბამისად სტუდენტებისათვისაც ეს ინფორმაცია ცნობილი უნდა ყოფილიყო.

გენერალური საკონსულო აგრეთვე დაინტერესდა სტუდენტების საყოფაცხოვრებო პირობებსა და რიგ სხვადასხვა პრობლემებზე. ნიშანდობლივია, რომ ზემოაღნიშნული პრობლემის გარკვევას ართულებდა ის საკითხი, რომ არ არსებობდა სამუშაო ხელშეკრულება. საბოლოოდ, რიგმა სტუდენტებმა გააგრძელეს აღნიშნულ პირობებში დაბალი ხელფასით მუშაობა, ნაწილი კი საქართველოში დაბრუნდა.

მომავალი წლისთვის, პროექტში „უცხოელი სტუდენტების დასაქმება არდადეგების პერიოდში“ გაცილებით მეტი ქართველი სტუდენტი ჩაერთვება, რაც მსგავსი პრობლემების

მომატებასაც გამოიწვევს. პრევენციის მიზნით, სასურველია საქართველოს იმ კერძო და იურიდიული პირების საქმიანობის შესწავლა, რომლებიც ადამიანებს საქართველოს ფარგლებს გარეთ დასაქმებაში ეხმარებიან და მათთან შესაბამისი მუშაობის გაწევა.

პატივისცემით,
ხათუნა თოთლაძე

მინისტრის მოადგილე